803
თ-952

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მზია ვასილის ასული თამაზაშვილი

XX საუკუნის ძართული ნოველის
კომპოზიციური თავისებურებანი

10.01.08. - ლიტერატურის თეორია

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999წ.

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის განყოფილებაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ჭოლოკავა

ექსპერტი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დიმიტრი თუხარელი

ოფიციალური ოპონენტები - I. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ ჭარხალაშვილი

2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მზია ბურჯანაძე

წამყვანი ორგანიზაცია - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის "28" - ივლისს - - - - "
" 12[30] -" საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს P.10,01 C №5 სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი № 1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში უნივერსიტეტის ქ.№2 /ნაღლები კორპუსი/

ავტორეფერატი დაიგზავნა " - 26 -" " - აპრილ - -" 1999 წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი თენგიზ კიკაჩეიშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

1 1 7 0 3 1

თემის აქტუალობა. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია ის სტრუქტურული ნაირგვარობანი, რაც ვლინდება კლასიკურ თუ მოდერნისტულ ნოველებში. მსოფლიო ნოველამ თავისი განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე გაიარა რთული და მრავალფეროვნებით აღსავსე გზა. ნაშრომში მოცემულია ზოგადი სურათი ნოველის განვითარებისა ევროპაში, ამერიკასა და რუსეთში და ამ საერთო ფონზე წარმოჩენილია ქართული ნოველის განვითარების ისტორია. შედარებითი მეთოდის საშუალებით მოცემულია ქართული ნოველის და, კერძოდ, XX საუკუნის ქართული ნოველის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებანი.

კლასიკური ნოველის მთავარი ნიშან-თვისებები გახლავთ ნაწარმოების მცირე ფორმა, ინტრიგის ან "მოხერხებული პასუხის" სიმახვილე, "მზა ხასიათები" და "მზა სიტუაციები". ნოველა თავის კლასიკურ სახეს ღებულობს იტალიაში, კერძოდ, ბოკაჩოს "დეკამერონი"ს სახით. ამის შემდეგ ნოველამ მრავალი გზა და საფეხური გაიარა და მოგვცა სხვადასხვა სტილისა თუ სტრუქტურის ნაირსახეობანი. საბოლოოდ, XX საუკუნისათვის, ჩამოყალიბდა დღესდღეობით სანიმუშოდ მიჩნეული ამერიკული ნოველის დამახასიათებელი story-ს ტიპის ნოველა. ქართულ ნოველაში კი ნოველის საერთოდ მიღებულ ფორმებსა და კომპოზიციასთან შერწყმულია ტრადიციული, ქართული სახეები თუ თემები, რაც ხდება იმგვარად, რომ "მოულოდნელობის ცენტრალური ეფექტი" უფრო მეტად გადატანილია შინაგან, სულიერ პლანში.

ამ თვალსაზრისით, ქართული ნოველა და, კერძოდ, XX საუკუნის ქართული ნოველა დღემდე შეუსწავლელია, ნაშრომი წარმოადგენს ცდას, გვიჩვენოს ქართული ნოველის აგებისათვის გამოყენებული კომპოზიციური ხერხები და წარმოგვიდგინოს ის თავისებურებანი, რაც მსოფლიო ნოველის ფონზე გამოჰკვეთს ქართულ ნოველას, როგორც თვითმყოფადსა და თავის-თავადს. ნაშრომი ქართული ნოველის ამ თვალსაზრისით გაცნობისა და